უხეშობა აფუჭებს თამაშს

თბილისი. 13 სექტემბერი. “დინამოს” სტადიონი.

“დინამო” (თბილისი) – “ბურევესტნიკი” (კიშინიოვი) – 3:0 (1:0).

“ბურევესტნიკი” – ერემეევი, ლევკინი, პოტაპოვი, მირგოროდსკი, შორი, მარკევიჩი, ფომინი, ბუტილკინი, კოროტკოვი, ცინტლერი, ბულკინი.

“დინამო” – პირაევი, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, კოტრიკაძე, ღოღობერიძე, ხასაია, გაგნიძე, კალოევი, ჭკუასელი, მესხი.

მსაჯი: ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

კარგა ხანია “ა” კლასის “მუდმივი ბინადარი” გუნდების მყუდროება ისე არ დარღვეულა, როგორც წელს. კიშინიოვის “ბურევესტნიკმა”, რომელმაც შარშან მოიპოვა უძლიერესთა შორის მონაწილეობის უფლება, პირველი მატჩებიდანვე შეიტანა გამოცოცხლება ჩემპიონატში. კიშინიოველები ყოველ თამაშს ატარებდნენ მაქსიმალური დატვირთვით, დიდი მონდომებით, ენერგიით და 90 წუთის განმავლობაში წამითაც არ წყვეტდნენ ბრძოლას. ამ გუნდის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – “ბურევესტნიკი” გათამაშების დაწყებიდანვე ლიდერთა რიცხვში იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მოსკოვის ძლიერ გუნდებთან შეხვედრებში “ბურევესტნიკმა” პირველ წრეში 10 შესაძლებლიდან 7 ქულა აიღო.

ამ გუნდს დიდი ინტერესით მოელოდნენ თბილისში. თამაში მართლაც საინტერესოდ დაიწყო. თბილისელები მაშინვე ფართოდ გაიშალნენ მინდვრის მთელ სიგანეზე და პირველი იერიშები მარჯვენა ფრთიდან წარმართეს. რამდენიმე სახიფათო მომენტის შემდეგ “დინამომ” შეტევაში მარცხენა ფლანგიც ჩართო და კიშინიოველთა დაცვა იძულებული იყო საჭირო რეზერვი “ესესხა” თავდასხმისაგან თავისი რიგების გასაძლიერებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივა “დინამოს” ჰქონდა, რომლის თავდამსხმელები ღოღობერიძის აქტიური მონაწილეობით ხშირად გადიოდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, “ბურევესტნიკი” დრო და დრო ახერხებდა მეტად სახიფათო კონტრშეტევების განხორციელებას. დაცვიდან მოგერიებულ შორეულ ბურთებს ღებულობდნენ კოროტკოვი, ბუტილკინი. ცინტლერი და სწრაფად უახლოვდებოდნენ მასპინძელთა კარს, ყოველ მოსახერხებელ მომენტს იყენებდნენ კარში დარტყმისათვის. კოროტკოვის ერთ–ერთ ასეთ გარღვევას მხოლოდ უკანასკნელ წამს მიუსწრეს მცველებმა.

“დინამოს” თამაშში მცირე ხნით დაირღვა მთლიანობა. მესხი და კალოევი გამოეთიშნენ თამაშს, გაგნიძე თავისი დარაჯის ზურგს უკან ჩაიკეტა, მაგრამ ღოღობერიძის, ჭკუასელისა და ხასაიას აქტიური მოქმედებით თამაში კვლავ აეწყო. ზედიზედ რამდენჯერმე გავიდა გარღვევაზე ხასაია. ბურევესტნიკელთა საჯარიმო მოედანზე გამოჩნდა ხოჭოლავაც, რომელთა ბრძოლაში მცველი მირგოროდსკი აშკარად აჩერებს ბურთს ხელით, რაც შეუმჩნეველი დარჩა მსაჯს. ოსტატურად გაგზავნა დაბალი ბურთი გაგნიძემ თავით მოწინააღმდეგის კარისაკენ ღოღობერიძე–მესხი–ღოღობერიძის კომბინაციის შემდეგ, მაგრამ ერემეევმა დროზე შეურჩია დარტყმას ადგილი.

“ბურევესტნიკის” მცველებს სულ უფრო უძნელდებოდათ თბილისელთა თავდამსხმელების დაჭერა და ამიტომ ისინი “იძულებული” იყვნენ უხეშობა დაეწყოთ. ტაიმის დასასრულს დინამოელებმა სწრაფად გაითამაშეს საჯარიმო – ხასაიამ ბურთი გაუგორა ჭკუასელს, რომელმაც ძლიერი დარტყმით გაიტანა გოლი – 1:0.

მეორე ტაიმი თბილისელთა მძლავრი იერიშებით დაიწყო. მარჯვენა ფრთაზე დაწყებულ კომბინაციას ხასაიამ მოულოდნელად შეუცვალა მიმართულება მარცხნივ. სადაც ღოღობერიძემ სწორი გაგრძელება მოუნახა მას და ბურთი ზუსტად გადასცა ჭკუასელს. ჭკუასელი სწრაფად შევიდა საჯარიმო მოედანში, მოატყუა ლევკინი, პოტაპოვი და შორსაც იმასვე უპირებდა. მაგრამ შორმა თავის მოტყუებას მოწინააღმდეგისათვის ფეხის გამოდება არჩია. 11–მეტრიანი საჯარიმო მარცხენა დაბალ კუთხეში გაგზავნა ხასაიამ – 2:0.

ამის შემდეგ თამაშმა დაკარგა სპორტული ხასიათი. “ბურევესტნიკის” მოთამაშეები განუწყვეტლივ და დაუფარავად უხეშობდნენ. მსაჯის მიერ სამართლიანად იქნა მინდვრიდან გაძევებული მირგოროდსკი. მაგრამ ამას სათანადო ზეგავლენა არ მოუხდენია მათზე. ლევკინი, პოტაპოვი, ფომინი, ცინკლერი და სხვანი ყოველ მოსახერხებელ თუ მოუხერხებელ მომენტს იყენებდნენ იმისათვის, რომ რაიმე საშუალებით არევდარევა შეეტანათ “დინამოს” თამაშში, შეეფერხებინათ მისი

მოთამაშეები ან გამოეყვანათ კიდეც ისინი მწყობრიდან. მაგრამ ფეხბურთში, როგორც ცნობილია, უხეშობას არ შეუძლია ძალების გათანაბრება, უხეშობას შეუძლია მხოლოდ გააფუჭოს თამაში. ეს ასეც მოხდა. სტუმრებმა მასპინძელთა წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს, მეორე ტაიმი კი გააფუჭეს და თამაშს სპორტული ინტერესი დაუკარგეს.

34–ე წუთზე "ბურევესტნიკის" მეკარე ერემეევი შორს გამოვიდა თავისი კარიდან და ფეხით მოიგერია ბურთი. სანამ იგი უკან დაუბრუნდებოდა თავის პოსტს, კალოევმა დაახლოებით 30 მეტრიდან მათემატიკური სიზუსტის დარტყმით მესამე გოლი გაიტანა. ამ ანგარიშით – 3:0 გაიმარჯვა თბილისის "დინამომ".

დუბლიორთა შეხვედრაში გამარჯვება დამსახურებულად მოიპოვეს კიშინიოველებმა – 4:1.

რამდენიმე სიტყვა თბილისის "დინამოს" თამაშზე. ეს უკვე მესამე წელია დინამოელები მეტად არასახარბიელოდ გამოიყურებიან საკავშირო ჩემპიონატში, მაგრამ თუ შარშან და შარშანწინ გუნდი ნამდვილად სუსტად თამაშობდა, წელს მეშვიდე ადგილი აშკარად არ შეეფერება კოლექტივს. უდავოა, რომ თბილისის "დინამო" ამჟამად მეტად ძლიერ ანსამბლს წარმოადგენს, რომელიც ჩემპიონობის პრეტენდენტთა რიცხვში უნდა იყოს და არა ცხრილის მეორე ნახევარში. ეს ცხადად დამტკიცდა განვლილ სპარტაკიადაზეც, სადაც თბილისელებმა თანაბარ, მწვავე ბრძოლაში დაიკავეს მეორე საპრიზო ადგილი მოსკოვის (ფაქტიურად სსრ კავშირის ნაკრები გუნდის) შემდეგ.

გუნდმა და მისმა მწვრთნელებმა შეძლეს მთავარი – ძველი სიძლიერის აღდგენა, შეწყობა, შეთამაშება. შეძლეს ის, რომ თბილისის "დინამო" კვლავ მრისხანე ძალას წარმოადგენს ყველასათვის, მაგრამ ვერ შეძლეს სტაბილურობის მიღწევა თავის თამაშში და ზოგიერთი საკითხის მოწესრიგება დაცვაში.

წაუგებლად და ჩავარდნის გარეშე ჯერ არავის უთამაშია ფეხბურთის ისტორიაში. მაგრამ ჩავარდნაც არის და ჩავარდნაც. რამდენი ქულა აქვთ თბილისელებს წელს დაკარგული სულ ტყუილუბრალოდ. ყოვლად გაუმართლებლად! ან როგორ შეიძლება ისეთი კლასის გუნდი, როგორიც ამჟამად თბილისის "დინამოა", ანგარიშით 2:9 აგებდეს მოსკოვის "ლოკომოტივთან", რომელიც უეჭველად მასზე სუსტია.

კრიზისი, რომელსაც გუნდი განიცდიდა, კარგა ხანია განვლილია. თბილისელებმა კვლავ ჰპოვეს საყოველთაო აღიარება. რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებრიობას სრული უფლება აქვს მოსთხოვოს თავის საუკეთესო გუნდს მიაღწიოს სტაბილურ შედეგებს გათამაშებაში, მიაღწიოს იმ მაჩვენებლებს, რომელიც მას სამართლიანად ეკუთვნის.

ბ. ქორქია.
"ლელო", 16 სექტემბერი, 1956 წ.